186
1985

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1985 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

12. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

13. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.
14. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1287 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

15. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების, მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ.
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 დეკემბრის № 804 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
18. საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოწესრიგების შესახებ.
19. საქართველოს სს რესპუბლიკაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.
20. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 თებერვლის № 180 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 18 აგვისტოს № 569 დადგენილების მე-12 პუნქტის მეექვსე აბზაცის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

**12** **საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ**

ეროვ. 1143

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის № 246 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინტენსიფიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის რესპუბლიკური კონკურსების დებულების ნაწილობრივ შესაცვლელად აღნიშნული დებულების II განაყოფის „კონკურსების პირობები“ მეოთხე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი აბზაცი:

„თითოეულ ავტორს ან ავტორთა კოლექტივს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსით გამოცხადებული მხოლოდ ერთი თემის დამუშავებაში“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ე. შევარდნაძე** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**დ. ჭართველიშვილი** |

ქ. თბილისი, 1985 წ. 9 აპრილი, № 279.

საქ. სსრ კ. მარ
სახ. საბ. რესპ

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

## 13 საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ორგანიზაციის სრულყოფის, მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღდგენაში საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების როლის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 21 დეკემბრის № 1255 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1985 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>**ნ. ჯითანავა** | საქართველოს პროფკავშირთა<br>რესპუბლიკური საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**თ. მოსაშვილი** |

ქ. თბილისი, 1985 წ. 4 მარტი, № 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1985 წლის 4 მარ-
ტის № 131 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებისა და საქართველოს სსრ კანონების შესაბამისად ახორციელებენ მოქალაქეთა შრომისუნარიანობის ხანგრძლივი ან მუდმივი დაკარგვის ექსპერტიზას.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები იმყოფებიან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგებლობაში და ახორციელებენ თავიანთ მუშაობას ტერიტორიული პრინციპის მიხედვით:

— რაიონული, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები — პირველადი რგოლი;

— რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები.

2. საექიმო-შრომითი საექსპეტო კომისიების ძირითადი ამოცანები ის არის, რომ

— განსაზღვრონ შრომისუნარიანობის მდგომარეობა, მისი მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვა, დაადგინონ ინვალიდობის ჯგუფი და მიზეზი;

— განსაზღვრონ ინვალიდებისათვის შრომის, სამუშაოთა და პროფესიათა პირობები და სახეობანი, რომლებიც ხელმისაწვდომია მათთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, აგრეთვე პირობები და მეთოდები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება აღდგეს ან ამაღლდეს დარღვეული შრომისუნარიანობა, შეამოწმონ კომისიების დასკვნების შესაბამისად ინვალიდთა სამუშაოზე გამოყენების სისწორე;

— ხელი შეუწყონ მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებას, ინვალიდობის თავიდან აცილებას;

— შეისწავლონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციასთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზები და მონაწილეობა მიიღონ ინვალიდობის პროფილაქტიკისა და შრომისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებათა შემუშავებაში.

3. შრომისუნარიანობის დაკარგვის დონის მიხედვით ინვალიდობა იყოფა სამ ჯგუფად. ინვალიდობის მიზეზებია; საერთო დაავადება, შრომითი დასახიჩრება, პროფესიული დაავადება, ინვალიდობა ბავშვობიდან; სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამსახურეთათვის — სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობა, კონტუზია, დასახიჩრება, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადება ან სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაუკავშირებელი უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული დასახიჩრება, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაუკავშირებელი დაავადება, ხოლო კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში — სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული დაავადება. სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს ინვალიდობის სხვა მიზეზებიც.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები ინვალიდობის დადგენისას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით ინვალიდობის ჯგუფების განსაზღვრის შესახებ.

4. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნები ინვალიდთა შრომის პირობებისა და ხასიათის შესახებ სავალდებულოა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისათვის.

5. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

6. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობა ხორციელდება კოლეგიურობის საფუძველზე. კომისიები მუშაობენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო ურთიერთობით.

პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობისადმი.

7. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები მუშაობას ახორციელებენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ბაზაზე.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შენახვის ხარჯები გაიღება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

8. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს აქვთ შტამპი და ბეჭედი.

## II. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ორგანიზაცია და შემადგენლობა

9. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს ქმნიან, გარდაქმნიან და აუქმებენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტო-

ნომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები.

10. რაიონული, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების ქსელი იქმნება მათ მიერ მომსახურებული მოზრდილი მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად.

რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების შემადგენლობა განისაზღვრება რაიონული, სარაიონთაშორისო, საქალაქო კომისიების რაოდენობის შესაბამისად. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების რაოდენობის განმსაზღვრელ ნორმატივებს აწესებს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად.

11. დაავადებისა და ინვალიდობის დონის, სტრუქტურის შესაბამისად იქმნება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები: საერთო პროფილის კომისიები; სპეციალიზებული პროფილის კომისიები ტუბერკულოზით დაავადებულ, ფსიქიკური მოშლილობის, მხედველობის ორგანოს დაავადებისა და დეფექტების, სისხლის მიმოქცევის ორგანოების და სხვა დაავადებებით სნეულ პირთა შესამოწმებლად; შერეული პროფილის კომისიები.

12. რაიონული, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები იქმნება სამი ექიმის, სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლისა და პროფკავშირული ორგანიზაციის (პროფკავშირული ორგანოს) წარმომადგენლის შემადგენლობით.

13. რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ყოველი შემადგენლობა იქმნება ოთხი ექიმის, სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლისა და პროფკავშირული ორგანიზაციის (პროფკავშირული ორგანოს) წარმომადგენლის მონაწილეობით.

რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქ თბილისში საექიმო-შრომითი ექსპერტიზისადმი საერთო ხელმძღვანელობისათვის ინიშნება საექიმო-შრომითი ექსპერტიზის მთავარი ექსპერტი. თუ ამ პუნქტში აღნიშნული კომისიების შემადგენლობა ხუთზე ნაკლებია, მთავარი ექსპერტის მოვალეობანი ეკისრება კომისიის ერთ-ერთი შემადგენლობის თავმჯდომარეს.

14. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ (ამ დებულების მე-12 და მე-13 პუნქტები) ინიშნება მასში შემავალი ერთ-ერთი ექიმი. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე წარმართავს მის მუშაობას, უზრუნველყოფს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ხარისხიანად განხორციელებას და პერსონალურად აგებს პასუხს კომისიის საქმიანობისათვის.

15. საექიმო-შრომითი ექსპერტიზის განსახორციელებლად რესპუბლიკურ, საოლქო, ცენტრალურ საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს შეუძლიათ მიიწვიონ კონსულტანტები სამედიცინო, ტექნიკურ და სხვა საკითხებზე შრომის საათობრივი ანაზღაურებით.

16. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მკურნალ ექიმებს, იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის წარმომადგენლებს, სადაც მუშაობს შესამოწმებელი პირი, სამხედრო კომისარიატების წარმომადგენლებს.

**III. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების უფლება-მოვალეობანი**

17. რაიონულ, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს ეკისრებათ:

— დაადგინონ შრომისუნარიანობის მდგომარეობა, მისი ხანგრძლივი ან მუდმივი დაკარგვა, ინვალიდობის ჯგუფი, მიზეზი და დაწყების დრო, აგრეთვე შრომისუნარიანობის დაკარგვის დონე (პროცენტობით) მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებმაც მიიღეს შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება, და რა დამატებითი სახის დახმარება სჭირდებათ მათ;

— განსაზღვრონ სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციის ღონისძიებანი;

— დაადგინონ მარჩენალის სიკვდილის მიზეზობრივი კავშირი საწარმოო ტრავმასთან, პროფესიულ დაავადებასთან, ფრონტზე ყოფნასთან და სხვა გარემოებებთან, გარდაცვლილის ოჯახის წევრთათვის პენსიის დანიშვნის და ზარალის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად;

— გაუწიონ მოქალაქეებს დახმარება იმ დოკუმენტების მოსაძებნად, რომლებიც საჭიროა საექიმო-შრომითი ექსპერტიზის განსახორციელებლად და რომელთა წარდგენა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ეკისრებათ პირებს, რომლებიც გადიან შემოწმებას;

— შეამოწმონ ინვალიდთა სამუშაო ადგილზე მათი შრომითი მოწყობისა და გამოყენების სისწორე კომისიების რეკომენდაციების შესაბამისად;

— მონაწილეობა მიიღონ შრომის პირობების შესწავლაში, სამუშაო ადგილების ატესტაციაში იმ ფაქტორების გამოვლენის მიზნით, რომლებიც არაკეთილსაიმედოდ მოქმედებენ მუშაკთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და შრომისუნარიანობაზე, და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებაში; განსაზღვრონ შრომის, სამუშაოთა და პროფესიათა პირობები და სახეობანი, რომლებიც ხელმისაწვდომია ინვალიდთათვის;

— წარუდგინონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონული, საქალაქო განყოფილებების მეშვეობით შესაბამის სამხედრო კომისარიატებს ცნობები სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა ინვალიდად ცნობის ყველა შემთხვევის შესახებ.

18. რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები:

— ახორციელებენ ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს რაიონული, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების საქმიანობისადმი, ამოწმებენ ამ კომისიების გადაწყვეტილებებს და დაუსაბუთებლობის შემთხვევაში ცვლიან მათ;

— ხელახლა ამოწმებენ იმ პირებს, რომელთაც გაასაჩივრეს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებანი;

— ატარებენ რთულ შემთხვევებში რაიონული, სარაიონთაშორისო და საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მიერ გაგზავნილ პირთა შემოწმებას;

— ამოწმებენ ინვალიდებს იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ, სჭირდებათ თუ არა მათ სპეციალური სატრანსპორტო საშუალებანი;

— ნერგავენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის პრაქტიკაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ ექსპერტიზის მეცნიერულ პრინციპებსა და მეთოდებს, ამზადებენ წინადადებებს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის შემდგომი სრულყოფის შესახებ, სწავლობენ, განაზოგადებენ და ავრცელებენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

— სწავლობენ ინვალიდობის მიზეზებს და ამის საფუძველზე შეიმუშავებენ მათი აღმოფხვრის, ინვალიდობის პროფილაქტიკისა და მოქალაქეთა შრომისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებებს;

— იღებენ ზომებს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და უზრუნველყოფენ საექიმო-შრომითი ექსპერტიზის სპეციალისტთა მონაწილეობას ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

19. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებს უფლება აქვთ:

— მიიღონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებებისაგან, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისაგან კომისიების მუშაობისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის მონაცემები იმ პირთა შრომის ხასიათისა და პირობების შესახებ, რომლებიც გადიან შემოწმებას;

— გაგზავნონ შესამოწმებელი პირები სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში დიაგნოზის დასაზუსტებლად და აღდგენითი მკურნალობისათვის;

— მივიდნენ დადგენილი წესით საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, დაათვალიერონ სამუშაოთა წარმოების ადგილები, საწარმოო და სამსახურებრივი სადგომები, გაეცნონ ანგარიშებს, სტატისტიკურ და სხვა მასალებს კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## IV. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში მოქალაქეთა შემოწმების წესი

20. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში მოქალაქეთა შემოწმება ხდება საცხოვრებელ ადგილზე ან სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებასთან მიმაგრების ადგილზე შესაბამისი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მიმართვით.

21. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები ამოწმებენ მოქალაქეებს იმ შემთხვევებში, როცა კანონმდებლობა ინვალიდობის დადგენას უკავშირებს სოციალური დახმარების უფლებათა მინიჭებას ან შესაბამის მოვალეობათა შესრულებისაგან განთავისუფლებას, და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

22. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეობების წევრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ატარებენ გამსვლელ სხდომებს იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ . დაწესებულებებში, რომლებიც ემსახურებიან საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს. გამსვლელი სხდომების ჩასატარებლად კომისიებს უზრუნველყოფენ ტრანსპორტით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

23. თუ ავადმყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების საექიმო-საკონსულტაციო კომისიის დასკვნის თანახმად, არ შეუძლია გამოცხადდეს საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, შემოწმება ტარდება ბინაზე ან სტაციონარში, სადაც იგი იმყოფება სამკურნალოდ. განსაკუთრებულ შემთხვევებში (მაგალითად, შორეულ, ძნელმისადგომ ადგილებში) მოქალაქეთა შემოწმება შეიძლება ჩატარდეს დაუსწრებლად მათი თანხმობით.

24. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები ატარებენ სხდომებს სრული შემადგენლობით და იღებენ გადაწყვეტილებებს შემოწმების შედეგების კოლეგიური განხილვის შემდეგ. საექსპერტო შემოწმების მონაცემები და გადაწყვეტილება შეიტანება საექიმო-საექსპერტო კომისიის სხდომის ოქმსა და შემოწმების აქტში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, დანარჩენი წევრები და დაესმის ბეჭედი.

თუ კომისიის თავმჯდომარე ან ცალკეული წევრები არ ეთანხმებიან მიღებულ გადაწყვეტილებას, შემოწმების აქტში შეიტანება მათი ცალკე მოსაზრება და აქტი სამი დღის ვადაში წარედგინება რესპუბლიკურ, საოლქო, ცენტრალურ საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიას, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული შემთხვევის გამო.

რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებანი (მათ შორის რთულ პირობებში, კონტროლის ან გასაჩივრების წესით და სხვა შემთხვევებში შემოწმებისას) მიიღება კომისიის წევრთა ხმის უმრავლესობით. თუ ხმების რაოდენობა თანაბარია, კომისიის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტად ითვლება. კომისიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, თავის მოსაზრებას ჩამოაყალიბებს წერილობით, რომელიც თან დაერთვის საქმეს.

25. ინვალიდობის დადგენის თარიღად ითვლება ის დღე, როცა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში შევიდა ავადმყოფის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები.

26. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები შესამოწმებელ პირებს აძლევენ ცნობებს და სამი დღის ვადაში უგზავნიან შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დადგენილი ფორმის შეტყობინებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

კომისიების მუშაობაში გამოყენებული დოკუმენტების ფორმებს ამტკიცებს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

17. განზრახ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ცნობის უკანონოდ გაცემისათვის დამნაშავე პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომელსაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

## V. ხელახალი შემოწმების ვადები და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი

28. პირველი ჯგუფის ინვალიდთა ხელახლა შემოწმება ხდება ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფების ინვალიდთა — წელიწადში ერთხელ.

ინვალიდობა დგინდება იმ თვის მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე, რომელშიც დანიშნულია მორიგი ხელახალი შემოწმება.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინვალიდობის ჯგუფი დგინდება ხელახალი შემოწმების ვადის აღუნიშნავად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

ხელახალი შემოწმება აღნიშნულ ვადებზე ადრე, აგრეთვე თუ ინვალიდობა დადგენილია ხელახალი შემოწმების ვადის აღუნიშნავად, ხდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ან შრომისუნარიანობის ცვლილების ანდა საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში.

60 წელზე უხნესი მამაკაცი ინვალიდებისა და 55 წელზე უხნესი ქალი ინვალიდების ხელახალი შემოწმება ხდება მხოლოდ მათი განცხადების მიხედვით ან თუ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილება გამოტანილია ყალბი დოკუმენტების საფუძველზე.

29. თუ შემოწმებული პირი არ ეთანხმება რაიონული, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში შეიტანოს ამის შესახებ წერილობითი განცხადება რესპუბლიკურ, საოლქო, ცენტრალურ საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში ანდა იმ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, სადაც შემოწმება გაიარა, ან სოციალური უზრუნველყოფის შესაბამის განყოფილებაში. კომისია, რომელმაც შემოწმება მოახდინა, ან სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში გზავნის ყველა არსებულ დოკუმენტს განცხადებასთან ერთად რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის განსახილველად, რომელიც განცხადების შეტანის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში ჩაატარებს ავადმყოფის ხელახალ შემოწმებას და გამოიტანს გადაწყვეტილებას აღნიშნული შემთხვევის გამო.

უშუალოდ რესპუბლიკურ, საოლქო, ცენტრალურ საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში გასაჩივრების შემთხვევაში 3-დღიანი ვადა გამოიანგარიშება რაიონულ, სარაიონთაშორისო, საქალაქო საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში ამ კომისიების შეკითხვის მიღების დღიდან,

30. რესპუბლიკური, საოლქო, ცენტრალური საქალაქო (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო საექიმო-შრომითი ექსპერტიზის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში დაავალებს რესპუბლიკური საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის სხვა შემადგენლობას კვლავ განიხილოს ყველა არსებული გარემოების გათვალისწინებით საკითხი, რომლის გამო გადაწყვეტილება გასაჩივრებულია, აგრეთვე მიიღებს სხვა ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური კანონიერების დაცვას საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ჩატარებისას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ რესპუბლიკურ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიებში, სამხრეთ ოსეთის საოლქო საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, ცენტრალურ საქალაქო საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში (ქ. თბილისის) საექიმო-შრომითი ექსპერტიზის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში საკითხს გადაწყვეტს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1985 წლის 4 მარ-
ტის № 131 დადგენილებით

# ნუსხა

**საექიმო-შრომითი ექსპერტიზის საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს 1985 წლის 1 იანვრიდან**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 29 იანვრის № 78 დადგენილება „საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულების“ ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

2. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1963 წლის 15 ივლისის № 464 დადგენილებისა „რესპუბლიკის მშრომელთა შორის ინვალიდობის შემდგომი შემცირებისა და საექიმო-შრომითი ექსპერტიზის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

3. მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 მაისის № 317 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1969 წლის 1 სექტემბრის № 526 დადგენილება „საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დებულებაში დამატების შეტანის შესახებ“.

## 14 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1287 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1287 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

მე-2 პუნქტის მეორე და მეხუთე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1978 წლის 30 ივნისის № 443 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის შესახებ“;

მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი დებულებისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის № 822 დადგენილებით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1286 დადგენილება „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ორგანიზაციის მოწესრიგების შესახებ“ შემოღებულია სამოქმედოდ 1985 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>**ნ. ჯითანავა** | საქართველოს პროფკავშირთა<br>რესპუბლიკური საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**თ. ბოსაშვილი** |

ქ. თბილისი, 1985 წ. 5 მარტი, № 140.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 15 საქართველოს სსრ მშენებლობისს სამინისტროს დებულების, მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მმართველობის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა,[1] რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საწარმოო საქმიანობაში პარალელიზმის ლიკვიდაციისა და ქვედანაყოფების გამსხვილების, ამასთან რესპუბლიკის თითოეულ რაიონში სამშენებლო ორგანიზაციების არსებობის უზრუნველყოფის მიზნით:

— ნება დაერთოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გააერთიანოს, სხვა ადგილზე გადაიყვანოს, გააუქმოს საქართველოს სსრ ყოფილი მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ყოფილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცალკეული საქვეუწყებო ქვედანაყოფები (ტრესტები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები) დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობისა და მისი შენახვისათვის გათვალისწინებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში;

— ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 აგვისტოს № 446 დადგენილება „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ და 1972 წლის 2 ივნისის № 305 დადგენილება „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. მარტი, № 154.

---

1) არ მოიყვანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 12 მარტის № 154 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავის სისტემაში ხელმძღვანელობს მშენებლობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამუშავებს მშენებლობის ორგანიზაციის საერთო საკითხებს.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის გაუქმებული სამინისტროების ბაზაზე მისთვის შესაბამისი ორგანიზაციებისა და საწარმოების დაქვემდებარებით სამშენებლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის, სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, კაპიტალური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესასრულებლად მათი ღონისძიებების მობილიზაციის, სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების განახლების, უწყების საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალისა და რესურსების უფრო სრულად გამოყენების, სამინისტროს სიმძლავრეთა კომპლექსური და შეწონასწორებული განვითარების და წარმოების მოცულობის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებების, სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობათა დამტკიცებული გეგმების დროული შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის ზუსტი დაცვა;

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და გამოსაშვები სამრეწველო პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელი ამაღლება სამშენებლო წარმოების ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის საფუძველზე;

— სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვა და მშენებლობის ვადების შემცირება;

— შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველყოფა;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის და სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების სრულყოფა, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა;

— მშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა გამსხვილება და შემდგომი სპეციალიზაცია;

— მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების შემდგომი განვითარება, პროგრესულ საპროექტო გადაწყვეტილებათა დანერგვა;

— სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— მოგების და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება, აგრეთვე ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმის შესრულება;

— მართვის ეკონომიკური მეთოდების როლის ამაღლება, სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობის გასაფართოებლად მყარი ეკონომიკური პირობების შექმნა, დაგეგმვის, ეკონომიკური და მატერიალური სტიმულირების და სახელშეკრულებო ურთიერთობის სრულყოფა, წარმოების რენტაბელური გაძღოლისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება, შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მატერიალური და მორალური წახალისების რაციონალური ფორმების დანერგვა;

— აღრიცხვისა და ანგარიშგების სისწორისა და უტყუარობის უზრუნველყოფა, აგრეთვე კვარტალური და წლიური ანგარიშების დროული შედგენა როგორც სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ისევე კრებსითი ანგარიშისა მთლიანად სამინისტროს მიხედვით;

— სამეურნეო მექანიზმისა და საწარმოო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფა, რაც ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ერთიანობის უზრუნველყოფას და მის ორიენტაციას მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად;

— სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარება, ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება;

— კომპლექსური მექანიზაციის მასშტაბის გაფართოება, ხელის შრომის ყოველმხრივი შემცირება, მცირე მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვა მშენებლობაში;

— ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობის შემცირება;

— სამუშაო დროის დანაკარგებისა და შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევების აღმოფხვრა, ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის გაძლიერება, ბრიგადული იჯარის განვითარება;

— სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფა მუდმივი კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნა, კადრების შერჩევის ლენინური პრინციპების დაცვა, მათ შორის ხელმძღვანელ სამუშაოზე იმ სპეციალისტთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში, შრომითი კოლექტივების როლის ამაღლება დაწესებულ დავალებათა შესრულებაში;

ს.ქ. სსრ კ. ბერძნის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

— სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ახალი საშუალებებისა და ხერხების დანერგვა;

— შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა და მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა;

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის ყრილობების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება;

— თავისი სისტემის მუშაკთა ეკონომიკური განათლების შემდგომი გაუმჯობესება;

— სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მისი ყაირათიანი გამოყენების უზრუნველყოფა;

— სოციალისტური კანონიერების დაცვა სამეურნეო ურთიერთობაში, სახელშეკრულებო მუშაობის სრულყოფა და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება, იურიდიული და სამართლებრივი სამსახურის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

— გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მისი საქვეუწყებო ტრესტები, სახლთსაშენებელი კომბინატები, სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები და სხვა საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ სამინისტროს ერთიან სისტემას, რომელიც სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახმშენისა და საქართველოს სსრ სახმშენის ინსტრუქციებითა და მითითებებით, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მითითებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით საიჯარო სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა, საკუთარი კაპიტალური მშენებლობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების, ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების, შრომის გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ბალანსს;

— ახორციელებს გადასვლას საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის უწყვეტ ორწლიან დაგეგმვაზე;

— უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეებისა და საწარმოო დანიშნულების ობიექტების ამოქმედების, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის საგეგმო დავალებათა შესრულებას ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ;

— უზრუნველყოფს, რომ სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებმა დროულად შეასრულონ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, პირველ რიგში საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე უცხოეთის ლიცენზიების გამოყენებით კომპლექსური იმპორტული მოწყობილობის ბაზაზე მშენებარე ობიექტებზე;

— დადგენილი წესით მოაწყობს მუშაობას მშენებლობის სატიტულო სიებისა და ხარჯთაღრიცხვების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემკვეთებთან შესათანხმებლად, აგრეთვე უზრუნველყოფს შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვას;

— შეიმუშავებს სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა რაციონალური განვითარებისა და განლაგების სქემებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებათა გათვალისწინებით, აგრეთვე კოორდინაციას გაუწევს სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოო ბაზების სიმძლავრეთა განვითარებას;

— მოაწყობს სამინისტროს სისტემაში ეკონომიკურ მუშაობას, განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და განმტკიცების ღონისძიებებს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, აპარატში, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში, საწარმოებში, აგრეთვე უბნებზე და ბრიგადებში;

— დააფინანსებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, მოაწყობს და გააკონტროლებს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას; განიხილავს და დაამტკიცებს სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციათა და საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს სამინისტროს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის პერიოდულ და წლიურ კრებსით საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე განახორციელებს სამინისტროს ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საფინანსო კონტროლსა და რევიზიებს, უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივების, შემცირებისა და სრულყოფის, მანქანური აღრიცხვის დანერგვის მიზნით;

— შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად; გახსნის ბანკებში გასანაწილებელ ანგარიშებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგებისა და სხვა სახსრების გადასანაწილებლად;

— შეიტანს საჭიროების შემთხვევაში დადგენილი წესით ცვლილებებს სამინისტროს ორგანიზაციათა, სამეურნეო და საფინანსო გეგმებში, მთლიანად სამინისტროს ხაზით დამტკიცებული მაჩვენებლების შეუცვლელად, ბიუჯეტის გადასახდელთა შეუმცირებლად და ბიუჯეტიდან დაფინანსების გაუდიდებლად;

— მოაწყობს სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საინჟინრო-ტექნიკურ კომპლექტაციას რესურსებით, უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების თავმოყრას უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე, კონტროლს გაუწევს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმის შესრულებას;

— განსაზღვრავს მოთხოვნილებას მასალებზე, მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა რესურსებზე, მიიღებს და გაანაწილებს დადგენილი წესით გამოყოფილ ფონდებს მომხმარებელთა შორის, კონტროლს გაუწევს მათს რეალიზაციასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას, განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოთა შორის, გააკონტროლებს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებას, უზრუნველყოფს მასალების სწორ შენახვას;

— მოაწყობს მუშაობას მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისათვის;

— შექმნის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სუბსაიჯარო ორგანიზაციებისათვის საჭირო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მიერ სამონტაჟო და სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოთა დროულად და სათანადოდ შესრულებას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ კაპიტალური მშენებლობის საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებათა, აგრეთვე მიწოდების ხელშეკრულებათა დასადებად, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებათა როლის ამაღლებას და განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

— უზრუნველყოფს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შემუშავებასა და დანერგვას ანაზღაურების პროგრესული ფორმების გამოყენე-

ბით, რაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების სწრაფ ზრდას, თვითღირებულების შემცირებასა და რესურსების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებას;

— განახორციელებს მშენებლობაში პროგრესული პროექტებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარება, მშენებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყენება და მათი რემონტის მოწესრიგება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის გამოშვების გადიდება, ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, ძირითადი საბრუნავი სახსრების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ დაგროვების გეგმების და მოგების ანარიცხებისა და სხვა გადასახდელთა შესატანად ბიუჯეტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად ბანკებში საკუთარი სახსრების შეტანის ვალდებულებათა შესრულება, და უზრუნველყოფს კონტროლს ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი;

— გაანაწილებს და გადაანაწილებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებს შორის კაპიტალურ დაბანდებებს საკუთარი მშენებლობისათვის, მასალების, მოწყობილობის, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ფონდებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებს, დაკრედიტების ლიმიტებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროსათვის ბანკების საკრედიტო გეგმების მიხედვით;

— მოაწყობს მშენებლობაში მოწინავე გამოცდილების ფართო გაცვლა-გაზიარებას, განახორციელებს მშენებლობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების დანერგვის ღონისძიებებს;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სამშენებლო ნორმებისა და წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ბიუროებისა და სხვა ანალოგიური ორგანიზაციების მუშაობას და განახორციელებს კონტროლს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი;

— შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით ტექნიკურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს ახალი სამშენებლო მანქანების, მექანიზებული ინსტრუმენტისა და სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების შესაქმნელად, მონაწილეობას მიიღებს მათი მიღების გამოცდის ჩატარებაში;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებში დამტკიცებული გეგმების შესაბამისად საჭირო საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე მცირე მექანიზაციის იმ საშუალებათა წარმოებას, რომელთაც არ აწვდის მრეწველობა;

— მოაწყობს საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვას ტექნოლოგიური სპეციალიზებული საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, იმ ვარაუდით, რომ შემცირდეს შემხვედრი ტვირთზიდვის მოცულობა და რკინიგზის ვაგონების მოცდენა;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის გამომუშავების საუწყებო ნორმებსა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ფასდებებს, რომლებიც გათვალისწინებული არაა გამომუშავების ერთიანი ნორმებითა და ფასდებებით;

— შეიმუშავებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით წინადადებებს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხელფასის სისტემის გაუმჯობესების შესახებ და წარუდგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდის სწორად ხარჯვას;

— შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მმართველობის აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და შენახვის ხარჯების შემცირების ღონისძიებებს;

— მოაწყობს სამინისტროს საუწყებო არბიტრაჟში საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის წამოჭრილი ქონებრივი და ხელშეკრულებისწინა დავის განხილვას;

— განახორციელებს მუშაობას ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა შერჩევის, აღზრდის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და მათი სწორი გამოყენების მიზნით, განახორციელებს კონტროლს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ამ მუშაობის მიმდინარეობისადმი;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს წარმოებაში მუშათა პროფესიული სწავლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, შეადგენს საქვეუწყებო სასწავლებელთა დაკომპლექტების გეგმებს კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ, მოაწყობს ამ გეგმების შესრულებას;

— მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას;

— მიიღებს ზომებს ორგანიზაციებსა და საწარმოებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშენებელთა შრომის პირობების, საზოგადოებრივი კვების, სანიტარიულ-საყო-

ფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება და მათთვის სხვა კულტურულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარება;

— წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდებების მისანიჭებლად, სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოების მისაღებად, გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

— დროულად და გულდასმით განიხილავს მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, აგრეთვე მიიღებს ზომებს საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში არსებული იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია მშრომელთა წერილებში;

— მოაწყობს მუშაობას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის გასაუმჯობესებლად;

— შექმნის, გარდაქმნის, სხვა ადგილზე გადაიყვანს და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს სტაციონარულ და მობილურ სამშენებლო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული შრომის გეგმისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, აგრეთვე განახორციელებს ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადაყვანას შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში;

— შეიმუშავებს და განახორციელებს სისტემის სოციალური განვითარების ღონისძიებებს.

7. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე, აგრეთვე მოადგილეები, რომელთაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს მინისტრი.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, იგი აწესებს მინისტრის მოადგილეთა, სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის.

9. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახმშენისა და საქართველოს სსრ სახმშენის ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ შესასრულებლად, და ამოწმებს მათს შესრულებას.

გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი:

— წარმართავს სამინისტროს მმართველობის აპარატის მუშაობას და პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და მისი ფუნქციების განხორციელებისათვის, ანაწილებს მინისტრის მოადგილეთა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოვალეობებს, ამასთან ხელმძღვანელობს სამშენებლო წარმოების მართვის განხორციელების ტერიტორიული პრინციპით;

— მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სამუშაოზე და ათავისუფლებს სამუშაოდან სამინისტროს მმართველობის აპარატის მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით — გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს, ახალისებს ამ მუშაკებს ან იყენებს მათ მიმართ სასჯელის ზომებს;

— დადგენილი წესის შესაბამისად შეაქვს ცვლილებანი სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში და ამტკიცებს მის საშტატო განრიგს ცენტრალური აპარატისათვის დაწესებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც გამოანგარიშებულია თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო განაკვეთების შესაბამისად, თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით;

— ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს. სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებში განისაზღვრება მათი უფლებამოსილებანი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;

— ნიშნავს პერსონალურ სარგოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული პერსონალური სარგოების ოდენობისა და ლიმიტის ფარგლებში;

— აუქმებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, თუ მათში დარღვეულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები;

—იწვევს დადგენილი წესით სამინისტროს აქტივის თათბირებს იმ ღონისძიებათა განსახილველად და შესამუშავებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო ქვედანაყოფების საქმიანობის გაუმჯობესებას;

— ავალებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტას სამინისტროს განყოფილებებს, სამმართველოებსა და თავის საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

11. მინისტრის მოადგილეები მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სახელით, წარმოადგენენ მის ინტერესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს სსრ სახმშენში, სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

12. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სამშენებლო წარმოების, სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, ტრესტების სახლთსაშენებელი კომბინატების, სამმართველოების, მოძრავი მექანიზებული კოლონების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიმართ პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, ნომენკლატურულ თანამდებობებზე დამტკიცებისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, აგრეთვე სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფის ძირითად საკითხებზე, სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე წინადადებათა განსახილველად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა და სხვა წარმომადგენელთა შემადგენლობით.

— სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

14. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დებულებას, ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

15. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის სამეურნეო დავის განსახილველად ქმნის საუწყებო არბიტრაჟს, რომელსაც უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

---

## 16 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ

წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მართვის სრულყოფის მიზნით და „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, იმის შესახებ, რომ შეიქმნას 1985 წლის 1 აპრილიდან მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანება თბილისის კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკისა (მთავარი საწარმო) და გორის ხის დამმუშავებელი ქარხნის (საწარმოო ერთეული) ბაზაზე მათი მმართველობის აპარატის რიცხოვნობისა და მისი შენახვის ხარჯების ფარგლებში.

დაექვემდებაროს მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და გავრცელდეს მასზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულების მოქმედება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 20 მარტი, № 176.

## 17 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 დეკემბრის № 804 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„გეგმებით გათვალისწინებული ლიმიტების გადამეტებით კაპიტალური დაბანდებებისათვის კრედიტის მიცემის საკითხებში სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავში-

რის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 2 ოქტომბრის № 1030 დადგენილებისა და სსრ კავშირის სახბანკის 1984 წლის 25 ოქტომბრის № 671 წერილის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 დეკემბრის № 804 დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის გამოყენებით მშენებარე ობიექტების ეკონომიკური შერჩევის დებულების ნაწილობრივ შესაცვლელად მე-2 პუნქტის უკანასკნელ აბზაცში სიტყვები: „200 ათასი მანეთიდან“ შეიცვალოს სიტყვებით: „300 ათასი მანეთიდან“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 2 ოქტომბრის № 1030 დადგენილებით მე-8 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მაისის № 291 დადგენილებით, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახბანკი და სსრ კავშირის მშენბანკი განსაზღვრავენ ერთი ღონისძიებისათვის სესხების ზღვრულ ოდენობას, რომლებიც შეიძლება დადგენილი წესით მისცენ მათმა საქვეუწყებო დაწესებულებებმა გეგმებით გათვალისწინებული ლიმიტების გადამეტებით კაპიტალური დაბანდებებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 26 მარტი, № 199.

## 18 საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოწყობის მოწესრიგების შესახებ

**(ამონაკრები)**

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოწყობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ მებაღეო-

ბის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა:

ა) უზრუნველყონ:

— მებაღეობის ამხანაგობათა მოწყობისა და საქმიანობის, საბაღე ნაკვეთებზე საზაფხულო სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის დადგენილი წესის დარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელება;

— მკაცრი კონტროლი საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, არსებული, მოსახლეობისათვის მისაყიდი, ზედმეტი, გამოუყენებელი, არაკონდიციური და წუნდებული საშენი მასალებისა და კონსტრუქციების და საცხოვრებელი სახლების, შენობებისა და ნაგებობების აღების, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის დროს მიღებული მასალებისა და კონსტრუქციების ფასების განსაზღვრის მოქმედი წესის დაცვისადმი, აგრეთვე მოსახლეობისათვის ამ მასალებისა და კონსტრუქციების მიყიდვის დადგენილი წესის დაცვისადმი;

ბ) არ დაუშვან:

— საშენი მასალების გაცემა და სატრანსპორტო საშუალებათა და მექანიზმების გამოყოფა შემცირებული ფასებისა და ტარიფების მიხედვით, მუშახელის უკანონო გამოყენება, აგრეთვე საბაღე ნაკვეთებზე საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობისათვის არასპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების უკანონო გამოყენება;

— კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწების გამოყოფა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სასოფლო-სამეურნეო წარმოების საზიანოდ, აგრეთვე მიწებისა, რომლებიც მოსახლეობის დასვენების ადგილებს წარმოადგენენ. აიკრძალოს კოლექტიური მებაღეობისათვის სახნავისა და სხვა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა მიწების გამოყოფა;

გ) მკაცრი პასუხი მოსთხოვონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ ითვისებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებს და მიიღონ ზომები აღნიშნული ნაკვეთების დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის;

დ) საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან ერთად სამი თვის ვადაში დაამთავრონ თბილისის, რუსთავის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მუშა-მოსამსახურეების მებაღეობის ამხანაგობათა მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთების დამატებითი შერჩევა და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილი წესით გაფორმებული მასალები.

ნაკვეთების წერჩევისას მკაცრად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1286 დადგენილებით „კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოწყობის მოწესრიგების შესახებ“.

2. დაწესდეს კოლექტიური მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთის ნორმა 400 კვადრატული მეტრიდან 600 კვადრატულ მეტრამდე ერთ ოჯახზე.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა:

— ამოიღოს მოქმედი ტიპობრივი პროექტებიდან ის პროექტები, რომლებიც არ შეესაბამებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 29 დეკემბრის № 1286 დადგენილებით გათვალისწინებულ ნორმებს;

— უზრუნველყოს 1985-1986 წლებში საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების შემუშავება და არსებულის კორექტირება ზემოაღნიშნული ნორმების, რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური თავისებურებებისა და მოსახლეობის ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით;

4. მებაღეობის ამხანაგობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა.

მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ მებაღეობის ამხანაგობანი, და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო.

5. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს კოლექტიურ ბაღებში მოწეული ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაცია უშუალოდ მისი წარმოების ადგილებში.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ მუშა-მოსამსახურეების მებაღეობის ამხანაგობათა ტიპობრივ წესდებაში და შემდგომ წარმოუდგინონ მასალები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო პროფსაბჭოსთან შესათანხმებლად.

7. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (მოწვევა), საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავრობის გადაწყვეტილების პროექტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის № 822 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ორი თვის ვადაში დაამთავრონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად შერჩეული და გადაცემული მიწის ნაკვეთების განაწილება ორგანიზაციებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის და წარუდგინონ მასალები დადგენილი წესით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

9. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა, რომ:

— კოლექტიური მებაღეობისათვის შეიძლება გამოიყოს ნაკვეთები სახელმწიფო მარაგის მიწებიდან და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან, რომლებიც დაფარული არაა ტყით ან უკავია ნაკლებღირებულ ტყის ნარგავებს, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მწვანე და საგარეუბნო ზონების ფარგლებში დასახლებული პუნქტების ტერიტორიის პერსპექტიული გაფართოების გათვალისწინებით, აგრეთვე ამ ზონების ფარგლებს გარეთ ან იმ დასახლებული პუნქტების გარეთ, რომელთაც არა აქვთ საგარეუბნო და მწვანე ზონები.

აღნიშნული მიწების არარსებობისას კოლექტიური მებაღეობისათვის შეიძლება გამოიყოს, როგორც გამონაკლისი, მიწადაქსაქსული, მცირეკონტურიანი ნაკვეთები, მოუმარჯვებელი მიწები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საზოგადოებრივ მეურნეობაში.

კოლექტიური მებოსტნეობისათვის დროებით სარგებლობაში შეიძლება გამოიყოს ნაკვეთები სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან და დასახლებული პუნქტების მიწებიდან, რომლებიც გათვალისწინებული არაა უახლოეს წლებში განაშენიანებისათვის ან სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებლად, აგრეთვე დროებით გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან და სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა არასასოფლოსამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიწებიდან;

— კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ათვისება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახალხო დეპუტატთა რაიონული საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა, დაამტკიცებს მისი მოწყობისა და განაშენიანების პროექტს;

— კოლექტიურ ბაღებში მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს გამოეყოფათ 400 კვადრატული მეტრიდან 600 კვადრატულ მეტრამდე მიწის ნაკვეთები.

აღნიშნულ ფარგლებში მიწის ნაკვეთების კონკრეტულ ფართობს განსაზღვრავენ ის ორგანოები, რომლებიც გამოუყოფენ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთებს კოლექტიური მებაღეობისათვის, არსებული მიწებისა და ხარისხის გათვალისწინებით.

მებაღეობის ამხანაგობებისა და მებოსტნეთა კოლექტივების წევრები მოვალენი არიან რაციონალურად და მაღალეფექტიანად გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები შესაბამისად ხილის, კენკრის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის საწარმოებლად;

— მებაღეობის ამხანაგობის წევრებად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, შეიძლება მიღებულ იქნენ მხოლოდ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაკები, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა, აგრეთვე პენსიონერები იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც წინათ ამ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობდნენ.

მებაღეობის ამხანაგობა შეიძლება შეიქმნას საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, თუ ამხანაგობაში შესვლის მსურველია არანაკლებ 30 პირი. თუ ასეთ პირთა რაოდენობა ნაკლებია, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადგილსამყოფელის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეუძლია ნება დართოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოოპერირება მებაღეობის ამხანაგობის შესაქმნელად ერთ-ერთ მათგანთან, სადაც ყველაზე მეტია ამ ამხანაგობაში შესვლის მსურველი.

მებაღეობის ამხანაგობათა წევრები არ შეიძლება იყვნენ მოქალქენი, თუ მათ ან მათთან ერთად მცხოვრებ და საერთო მეურნეობის მქონე მათი ოჯახების წევრებს აქვთ სარგებლობაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, აქვთ პირადი საკუთრების აგარაკები ან სარგებლობენ სახელმწიფო აგარაკებით, სამსახურებრივი მიწის ნაკვეთებით, აგრეთვე არიან სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები ანდა სხვა მებაღეობის ამხანაგობის წევრები;

— მებაღეობის ამხანაგობებს უფლება აქვთ კოლექტიური ბაღის ტერიტორიის მოწყობისა და განაშენიანების პროექტის შესაბამისად ააშენონ ტიპობრივი პროექტების მიხედვით ბოსტნეულსაცავები და ხილსაცავები, პირადი ტრანსპორტის კოლექტიური სადგომები, საერთო სარგებლობის სხვა შენობანაგებობანი.

კოლექტიურ ბაღში მებაღეობის ამხანაგობების წევრთათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე შეიძლება აშენდეს მხოლოდ ერთსართულიანი საზაფხულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაღე სახლები 25 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის სადგომით, რომელიც თბება მყარი სათბობით, 10 კვადრატულ მეტრამდე ფართობის გაუთბობელი ტერასით (ვერანდით) და 15 კვადრატულ მეტრამდე ფართობის გაუთბობელი მანსარდა ზემოაღნიშნული ზომის გადამეტებით, 8 კვადრატულ მეტრამდე ფართობის სარდაფი, 15 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის სამეურნეო ნაგებობანი (ბოცვრებისა და შინაური ფრინველისათვის, სამეურნეო ინვენტარის შესანახად), შხაპისა და ტუალეტის ჩათვლით, აგრეთვე 15 კვადრატულ მეტრამდე ფართობის გაუთბობელი სათბური ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. ამასთან საზაფხულო საბაღე სახლის სადგომების სიმაღლე (იატაკიდან ჭერამდე) არ უნდა აღემატებოდეს 2,5 მეტრს, სამეურნეო ნაგებობებისა — 2,2 მეტრს, სარდაფისა — 1,9 მეტრს, ხოლო საზაფხულო საბაღე სახლის საერთო სიმაღლე (მიწის დონიდან სახურავის კეხამდე) არ უნდა აღემატებოდეს 6,5 მეტრს და სამეურნეო ნაგებობებისა — 3 მეტრს;

— საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა უნდა განხორციელდეს ტიპობრივი პროექტების მიხედვით კოლექტიური ბაღის ტერიტორიის მოწყობისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად;

— საზაფხულო საბაღე სახლები გათვალისწინებული არაა მუდმივ საცხოვრებლად და არ შედის საბინაო ფონდში;

— საბაღე ნაკვეთზე საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობათა აშენებისათვის ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან ამ დადგენილების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ნორმებისაგან ანდა მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით, მშენებლობაში უკანონოდ შეძენილი საშენი მასალების გამოყენებისათვის, მუშახელის უკანონო გამოყენებისათვის, მიწების თვითნებური მიტაცებისათვის, აგრეთვე ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსაყვანად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის აუთვისებლობისათვის მოქალაქე შეიძლება გაირიცხოს მებაღეობის ამხანაგობის წევრობიდან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით ან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, თუ მებაღეობის ამხანაგობა მის გამგებლობაშია.

მებაღეობის ამხანაგობათა ტიპობრივი წესდებებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მებაღეობის ამხანაგობის წევრობიდან მოქალაქეთა გარიცხვის სხვა საფუძვლებიც;

— მებაღეობის ამხანაგობის წევრისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე აშენებული საზაფხულო საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობათა ღირებულება მებაღეობის ამხანაგობის წევრობიდან მოქალაქეთა გასვლის (გარიცხვის) შემთხვევაში განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილებით გათვალისწინებული წესით დამტკიცებული შეფასებითი ნორმების მიხედვით (სსრკ დადგ. კრებ. 1981 წ. № 28, მუხ. 165),

ამ ნაგებობათა ცვეთის გათვალისწინებით. აღნიშნულ ნაგებობათა ღირებულებას განსაზღვრავენ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის მიერ შექმნილი შემფასებელი კომისიები, რომელთანაც მოწყობილია მებაღეობის ამხანაგობა, შესაბამისი საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლების, მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის წევრისა და ამ ამხანაგობის გასული (გარიცხული) წევრის შემადგენლობით. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ინიციატივით ან მებაღეობის ამხანაგობის გასული (გარიცხული) წევრის თხოვნით კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

იმ შემთხვევაში, როცა მებაღეობის ამხანაგობა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაშია, შემფასებელ კომისიას ქმნის შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის, მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის წევრისა და მებაღეობის ამხანაგობის გასული (გარიცხული) წევრის, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის შეხედულებისამებრ ან მებაღეობის ამხანაგობის გასული (გარიცხული) წევრის თხოვნით სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების შემადგენლობით;

— საზაფხულო-საბაღე სახლების შესაძენად ან ასაშენებლად და საბაღე ნაკვეთების კეთილმოსაწყობად სსრ კავშირის სახბანკის მიერ მებაღეობის ამხანაგობის წევრებისათვის მიცემულ კრედიტებს სამეურნეოანგარიშიან საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეებს აძლევენ ეს საწარმოები და ორგანიზაციები, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ აღნიშნული ორგანიზაციების მეშვეობით მსესხებელთა პირადი ვალდებულებით.

სსრ კავშირის სახბანკის მიერ მიცემული კრედიტი შეიძლება გადაახდევინონ ვადამდე ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, თუ მებაღეობის ამხანაგობის წევრმა ააშენა ან აშენებს საზაფხულო საბაღე სახლს და სხვა ნაგებობებს სათანადოდ შეთანხმებული პროექტის გარეშე ან ამ დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნორმებისაგან ანდა მშენებლობის დაწყებისას მოქმედი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისაგან გადახვევით;

— მებაღეობის ამხანაგობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა.

მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომები, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ მებაღეობის ამხანაგობანი;

— იმ შემთხვევებში, როცა მებაღეობის ამხანაგობები სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაშია, მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებენ შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები;

— ეს დადგენილება შემოღებულია სამოქმედოდ 1985 წლის 1 იანვრიდან. ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე აშენებული ან მშენებლობადაწყებული საზაფხულო საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობების, აგრეთვე გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ფართობის მიმართ გამოიყენება ადრე მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 29 მარტი, № 215.

## 19 საქართველოს სს რესპუბლიკაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

„სსრ კავშირის სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 იანვრის № 13 დადგენილების შესაბამისად და რესპუბლიკაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 იანვრის № 13 დადგენილება „სსრ კავშირში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ:

ა) სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში პროდუქციის დამუშავების, წარმოებისა და გამოყენების პროგრესული მოთხოვნების შეტანა მისი უნიფიკაციის დონის ამაღლების, ნედლეულის, მასალების, ენერგიის, სათბობის, სამარაგო ნაწილებისა და ინსტრუმენტის რაციონალური გამოყენებისა და ხარჯვის შემცირების, შრომის დანახარჯების შემცირების, საგარეო ბაზრის მოთხოვნების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციის რეკომენდაციებისა და სტანდარტების, გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, მავნე ზემოქმედებისაგან (ხმაური, ვიბრაცია, რადიოდაბრკოლება და სხვ.) დაცვის, ტექნიკური ესთეტიკისა და ერგონომიკის მოთხოვნების, აგრეთვე პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის მეთოდებისა და საშუალებებისათვის წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავენ სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას და ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს;

ბ) იმ ნედლეულის, მასალების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის წინმსწრები სტანდარტიზაციის სამუშაოთა განხორციელება,

რომელთა ხარისხი გადამწყვეტ გავლენას ახდენს მანქანების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებათა და სხვა სამრეწველო ნაკეთობათა, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე (მათ შორის საიმედოობასა და ხანგამძლეობაზე);

გ) პროდუქციის მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების განახლება მოძველებული მაჩვენებლების დროულად შეცვლის და სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის, ქვეყნის თავდაცვისა და ექსპორტის მოთხოვნილებებთან მათი შესაბამისობის მიზნით;

დ) სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად დანერგვა საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ამასთან გაითვალისწინონ ამ მიზნით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში საჭირო მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, აგრეთვე კონტროლის განხორციელება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მმართველობის შესაბამის სფეროში სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციისა და მდგომარეობისათვის და პროდუქციის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფისათვის, სტანდარტიზაციის გეგმების შესრულებისათვის მათ მიერ დასამუშავებელი სტანდარტებისა და დასამტკიცებელი ტექნიკური პირობების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის და სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად დანერგვისა და ზუსტად დაცვისათვის საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

სახალხო მეურნეობის დარგებში სტანდარტიზაციის სამუშაოებისადმი უშუალო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალურ აპარატში იქმნება საჭირო შემთხვევებში სტანდარტიზაციის ქვედანაყოფები (სამსახურები) ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ფარგლებში.

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სტანდარტიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციისა და შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ მათს ხელმძღვანელებს, აგრეთვე იქ, სადაც საჭიროა, დადგენილი წესით შექმნილ სტანდარტიზაციის შესაბამის ქვედანაყოფებს (სამსახურებს).

სტანდარტიზაციის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიეკუთვნოს ძირითად სახეობათა სამუშაოებს.

სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევის დამშვებ თანამდებობის პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში სტანდარტიზაციის სამსახურების ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა.

5. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

— დაამტკიცოს და გამოსცეს რესპუბლიკური სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— დაამტკიცოს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით სტანდარტიზაციის რესპუბლიკური მთავარი და საბაზო ორგანიზაციები საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით;

— მისცეს რესპუბლიკის სახელით დასკვნები სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების პროექტების გამო;

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 დეკემბრის № 949 დადგენილება „სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-2 და მე-4 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 მარტის № 172 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

7. „სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 433 დადგენილების მე-4 პუნქტში სიტყვების: „იმ საქონლის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „სტანდარტებისა და“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. აპრილი, № 293.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
## დადგენილება № 13

**1985 წლის 7 იანვარი**

მოსკოვი, კრემლი

## სსრ კავშირში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

სსრ კავშირის კანონთა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანო-

ბის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში მისი როლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირში სტანდარტიზაციის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს პროგრესულ მოთხოვნებს სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის, ქვეყნის თავდაცვისა და ექსპორტის საჭიროებისათვის დასამზადებელი პროდუქციისადმი, მისი დამუშავების, წარმოებისა და გამოყენებისადმი, აგრეთვე კონტროლი ამ დოკუმენტაციის სწორად გამოყენებისადმი.

სტანდარტიზაციის ობიექტებს წარმოადგენენ პროდუქცია, წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დამუშავებას, წარმოებასა და გამოყენებას, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული სხვა ობიექტები.

2. დაწესდეს სსრ კავშირში სტანდარტიზაციის ობიექტებისადმი მოთხოვნების განმსაზღვრელი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემდეგი კატეგორიები:

სახელმწიფო სტანდარტები (სახსტანდარტი);

დარგობრივი სტანდარტები (დსტ);

რესპუბლიკური სტანდარტები (რსტ);

ტექნიკური პირობები (ტპ).

სტანდარტები და ტექნიკური პირობები უნდა შემუშავდეს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე და ითვალისწინებდნენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს.

3. პროდუქციის სტანდარტებში განისაზღვრება მოთხოვნები ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფებისადმი და საჭირო შემთხვევებში — მოთხოვნები კონკრეტული პროდუქციისადმი.

ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფების სტანდარტებმა უნდა განსაზღვრონ ასეთი პროდუქციის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მისი ნომენკლატურის რაციონალური შემადგენლობა (ტიპები), უნიფიკაციის მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები პროდუქციისადმი ისეთი პროდუქციის დამუშავებისა და გამოშვების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც თავისი მაჩვენებლებით შეესაბამება უმაღლეს მსოფლიო დონეს ან აღემატება მას. ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფების, სტანდარტებში შეიძლება განისაზღვროს მათში გათვალისწინებული მაჩვენებლებისა და მოთხოვნების სამოქმედოდ შემოღების დიფერენცირებული ვადები.

მოთხოვნებს კონკრეტული პროდუქციისადმი (მოდელებისადმი, მარკებისადმი), რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა ასახვას და ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფების შესაბამისი სტანდარტების შესრულებას, განსაზღვრავენ ამ პროდუქციის სტანდარტები და ტექნიკური პირობები.

4. ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფებისა და კონკრეტული პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტები შემუშავდება სსრ კავშირის სტანდარტების სახე-

ლმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენის (მისთვის მიჩენილი ნომენ-
კლატურის მიხედვით) გადაწყვეტილებით.

იმ შემთხვევებში, როცა გათვალისწინებული არაა ერთგვაროვანი პრო-
დუქციის ჯგუფებისა და კონკრეტული პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტე-
ბის შემუშავება, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც გა-
მოსაშვები პროდუქციის სახეობათა მიხედვით მთავარი (წამყვანი) ორგანიზა-
ციები არიან, შეიმუშავებენ ასეთი პროდუქციის დარგობრივ სტანდარტებს ან
ტექნიკურ პირობებს.

რესპუბლიკური სტანდარტები შემუშავდება რესპუბლიკური და ადგილობ-
რივი მნიშვნელობის პროდუქციისათვის, თუ ამ პროდუქციას არა აქვს სახელ-
მწიფო და დარგობრივი სტანდარტები ან სსრ კავშირის იმ სამინისტროთა და
უწყებათა ტექნიკური პირობები, რომლებიც გამოსაშვები პროდუქციის სა-
ხეობათა მიხედვით მთავარი (წამყვანი) ორგანიზაციები არიან.

სახელმწიფო, დარგობრივი და რესპუბლიკური სტანდარტების ან სსრ კა-
ვშირის იმ სამინისტროთა და უწყებათა ტექნიკური პირობების არარსებობი-
სას, რომლებიც გამოსაშვები პროდუქციის სახეობათა მიხედვით მთავარი (წამ-
ყვანი) ორგანიზაციები არიან, სამინისტროებს, უწყებებს, კოოპერაციულ და
სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებს შეუძლიათ
შეიმუშაონ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციის ტექ-
ნიკური პირობები ან უზრუნველყოფენ ასეთი პროდუქციის წარმოებას უშუა-
ლოდ დადგენილი წესით დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძ-
ველზე.

პროდუქციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შემუშავება
ახალი (სამოდერნიზაციო) პროდუქციის შექმნის სამუშაოთა შემადგენელი ნა-
წილია.

სტანდარტიზაციის სხვა ობიექტებისათვის სტანდარტები შემუშავდება სსრ
კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

5. პროდუქციისა და სტანდარტიზაციის სხვა ობიექტების სახელმწიფო
სტანდარტებს ამტკიცებენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომი-
ტეტი და სსრ კავშირის სახმშენი (მისთვის მიჩენილი ნომენკლატურის მიხე-
დვით) და ისინი სავალდებულოა ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, სა-
წარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის
სახმშენი (მისთვის მიჩენილი ნომენკლატურის მიხედვით) უზრუნველყოფენ არა
უმეტეს სამი თვის ვადაში სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარდგე-
ნილი სახელმწიფო სტანდარტების პროექტების (ტექნიკურ-ეკონომიკური
დასაბუთებითურთ) და მათი დანერგვის ძირითად ორგანიზაციულ-ტექნიკურ
ღონისძიებათა გეგმების პროექტების განხილვას, აგრეთვე ამ კომიტეტების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ძალებით აღნიშნული პროექტების სა-
ხელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებას.

პროდუქციის დარგობრივ სტანდარტებს ამტკიცებენ სსრ კავშირის სამი-
ნისტროები და უწყებები, რომლებიც გამოსაშვები პროდუქციის სახეობათა
მიხედვით მთავარი (წამყვანი) ორგანიზაციები არიან, და ისინი სავალდებულოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

პროდუქციის რესპუბლიკური სტანდარტები მტკიცდება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, და ისინი სავალდებულოა მოკავშირე .რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის და მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

6. პროდუქციის ტექნიკურ პირობებს ამტკიცებენ დარგობრივი პრინციპით შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური ორგანოები სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

ტექნიკური პირობები მათი გავრცელების სფეროს შესაბამისად სავალდებულოა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებიც ამზადებენ, აწვდიან ასაღებენ), ინახავენ, გადააქვთ, იყენებენ (ექსპლუატაციას უწევენ) და არემონტებენ პროდუქციას.

7. ახალი (მოდერნიზებული) პროდუქციის სტანდარტები, ტექნიკური პირობები და ფასები უნდა დამტკიცდეს მისი წარმოების დაწყებამდე და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ერთდროულად. მათი სამოქმედოდ შემოღების წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

8. სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობა სსრ კავშირში ხორციელდება ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესაბამისად.

სტანდარტიზაციის ხუთწლიანი და წლიური გეგმები შესაბამისად სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

სახელმწიფო სტანდარტიზაციის გეგმებს ადგენენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის სახმშენი (მისთვის მიჩენილი ნომენკლატურის მიხედვით).

9. სტანდარტიზაციას მართვას ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სტანდარტიზაციისა და დარგთაშორისი უნიფიკაციის ორგანიზაციის, მდგომარეობისა და ოპტიმალური განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტიზაციის როლის გაძლიერებისათვის, მის მიერ დასამტკიცებელი სახელმწიფო სტანდარტების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის.

სსრ კავშირის სახმშენს ეკისრება პასუხისმგებლობა მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანე-

ბის გადასაწყვეტად სტანდარტიზაციის როლის გაძლიერებისათვის და მის მიერ დასამტკიცებელი სახელმწიფო სტანდარტების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის.

სსრ კავშირში სტანდარტიზაციის სამუშაოთა განხორციელების წესი განისაზღვრება სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის აქტების კომპლექსით, აგრეთვე სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცემული სხვა აქტებით.

10. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ:

ა) სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში პროდუქციის დამუშავების, წარმოებისა და გამოყენების პროგრესული მოთხოვნების შეტანა მისი უნიფიკაციის დონის ამაღლების, ნედლეულის, მასალების, ენერგიის, სათბობის, სამარაგო ნაწილებისა და ინსტრუმენტის რაციონალური გამოყენებისა და ხარჯვის შემცირების, შრომის დანახარჯების შემცირების, საგარეო ბაზრის მოთხოვნების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციის რეკომენდაციებისა და სტანდარტების, გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, მავნე ზემოქმედებისაგან (ხმაური, ვიბრაცია, რადიოდაბრკოლება და სხვ.) დაცვის, ტექნიკური ესთეტიკისა და ერგონომიკის მოთხოვნების, აგრეთვე პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის მეთოდებისა და საშუალებებისათვის წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ასახავენ სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას და ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს.

პროდუქციის სტანდარტები და ტექნიკური პირობები უნდა შეუთანხმდეს პროდუქციის შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს (ძირითად მომხმარებლებს) და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს (პროფკავშირულ ორგანოებსა და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს), აგრეთვე უნდა ჩაუტარდეთ სამეცნიერო-ტექნიკური და სამართლებრივი ექსპერტიზა;

ბ) იმ ნედლეულის, მასალების, საკომპლექტებელი ნაკეთობებისა და ინსტრუმენტის წინმსწრები სტანდარტიზაციის სამუშაოთა განხორციელება, რომელთა ხარისხი გადამწყვეტ გავლენას ახდენს მანქანების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებათა და სხვა სამრეწველო ნაკეთობათა, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე (მათ შორის საიმედოობასა და ხანგამძლეობაზე);

გ) კომპლექსური სტანდარტიზაციის პროგრამებისა და უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე პროდუქციის უნიფიკაციის პროგრამების შემუშავება;

დ) სტანდარტიზაციის სამუშაოთა დაგეგმვის ეფექტიანობის ამაღლება, დარგობრივი და რესპუბლიკური სტანდარტიზაციის ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების შემუშავება და შეთანხმება შესაბამისად სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმშენთან, აგ-

რეთვე სახელმწიფო სტანდარტიზაციის ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებისათვის წინადადებათა შემუშავება და მათი წარდგენა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტში, ხოლო მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში — სსრ კავშირის სახმშენში;

წინადადებებს პროდუქციის სტანდარტიზაციის შესახებ, რომელთაც საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობაში დასანერგი მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული სამამულო და საზღვარგარეთული მიღწევები, წარადგენენ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი;

ე) პროდუქციის მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების განახლება მოძველებული მაჩვენებლების დროულად შეცვლის და სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის, ქვეყნის თავდაცვისა და ექსპერტის მოთხოვნილებებთან მათი შესაბამისობის მიზნით;

ვ) სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად დანერგვა საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ამასთან გაითვალისწინონ ამ მიზნით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში საჭირო მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, აგრეთვე კონტროლის განხორციელება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვისადმი.

გეგმებში ახალი (სამოდერნიზაციო) პროდუქციის ათვისებისა და გამოშვების დავალებათა დაწესებისას უნდა აღინიშნოს ამ პროდუქციის სტანდარტები და ტექნიკური პირობები:

ზ) დადგენილი წესით საერთაშორისო სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის განხორციელება სტანდარტიზაციის დარგში მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების განზოგადების და პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და ხარისხის, აგრეთვე მისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სსრ კავშირში ზემოაღნიშნული გამოცდილების გამოყენების მიზნით.

11. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მმართველობის შესაბამის სფეროში სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ხაზით მუშაობის ორგანიზაციისა და მდგომარეობისათვის და პროდუქციის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფისათვის, სტანდარტიზაციის გეგმების შესრულებისათვის, მათ მიერ დასამუშავებელი სტანდარტებისა და დასამტკიცებელი ტექნიკური პირობების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის და სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად დანერგვისა და ზუსტად დაცვისათვის საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

სახალხო მეურნეობის დარგებში სტანდარტიზაციის სამუშაოებისადმი უშუალო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალურ აპარატში იქმნება საჭირო შემთხვევებში სტანდარტიზაციის ქვედანაყოფები (სამსახურები) ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ფარგლებში.

პროდუქციის შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს (ძირითად მომხმარებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მათ მიერ გაცემული საწყისი მოთხოვნები და ახალი (სამოდერნიზაციო) პროდუქციის შემუშავებისათვის ტექნიკური დავალებებით განსაზღვრული მოთხოვნები შეესაბამებოდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიულ მოთხოვნილებებს, აგრეთვე ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფების სტანდარტების მოთხოვნებს.

საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სტანდარტიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციისა და შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ მათს ხელმძღვანელებს, აგრეთვე იქ, სადაც საჭიროა, დადგენილი წესით შექმნილ სტანდარტიზაციის შესაბამის ქვედანაყოფებს (სამსახურებს).

სტანდარტიზაციის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიეკუთვნოს ძირითად სახეობათა სამუშაოებს.

12. ქვეყანაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის კოორდინაციისა და დონის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სახმშენს (მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგში) უფლება აქვთ დაამტკიცონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით სტანდარტიზაციის საერთო-საკავშირო მთავარი და საბაზო ორგანიზაციები.

მოკავშირე რესპუბლიკებში საჭიროების შემთხვევაში სტანდარტიზაციის მთავარი და საბაზო ორგანიზაციები მტკიცდება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

13. სტანდარტები, ტექნიკური პირობები და მათი ცვლილებანი, აგრეთვე გადაწყვეტილებანი მათი გაუქმების შესახებ ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებში და წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის უფასოდ ორ ეგზემპლარად.

სტანდარტები, ტექნიკური პირობები და მათი ცვლილებანი, რომელთაც არ გაუვლიათ სახელმწიფო რეგისტრაცია, ძალადაკარგულია.

14. სახელმწიფო, დარგობრივი და რესპუბლიკური სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციის რეკომენდაციებისა და სტანდარტების, საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნული სტანდარტების მუდმივ სახელმწიფო შენახვას, აგრეთვე ინფორმაციას მათ შესახებ ახორციელებენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების ცენტრალური ფონდი და მისი განყოფილებანი მოკავშირე რესპუბლიკებში.

15. სახელმწიფო სტანდარტების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციის რეკომენდაციებისა და სტანდარტების გამოცემისა და ხელახლა გამოცემის განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული უფლება ეკუთვნის სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს.

დარგობრივი და რესპუბლიკური სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების გამოცემასა და ხელახლა გამოცემას ახორციელებენ ორგანოები, რომლებმაც ისინი დაამტკიცეს.

16. დაინტერესებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფას სახელმწიფო სტანდარტებით, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტებით, საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციის რეკომენდაციებითა და სტანდარტებით ახორციელებს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი.

დაინტერესებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) უზრუნველყოფას დარგობრივი და რესპუბლიკური სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით ახორციელებენ ორგანოები, რომლებმაც ისინი დაამტკიცეს.

17. სტანდარტიზაციის სამუშაოთა დაფინანსება ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა და წარმოების განვითარებისათვის გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე.

18. სსრ კავშირში წარმოებული და რეალიზებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

პროდუქციის დამუშავება, დამზადება, მიწოდება (რეალიზაცია), შენახვა, ტრანსპორტირება, გამოყენება (ექსპლუატაცია) და რემონტი, აგრეთვე სხვა საქმიანობის განხორციელება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების დარღვევით აკრძალულია.

სსრ კავშირში იმპორტირებული პროდუქცია უნდა უზრუნველყოფდეს შეთავსებადობას სსრ კავშირში მოქმედი სტანდარტებითა და ტექნიკური პირობებით ან სსრ კავშირის მიერ მიღებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტებით დაწესებულ პროდუქციის პარამეტრებს.

19. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, გენერალურ და მთავარ კონსტრუქტორებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა დასამუშავებელი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის და მოწინავე გამოცდილების უმაღლეს მიღწევებთან მათი მაჩვენებლების შესაბამისობისათვის, მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად განახლებისათვის, დასამუშავებელი საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო დოკუმენტაციის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის, დასამუშავებელი პროდუქციის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფისათვის.

სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევის დამშვებ თანამდებობის პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. სსრ კავშირში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების გამოყენების წესს, აგრეთვე სსრ კავშირში საერთაშორისო ორგანიზაციათა სტანდარტიზაციის რეკომენდაციებისა და სტანდარტების გამოყენების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი.

**არ უნდა გამოქვეყნდეს**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებულ სტანდარტიზაციის სამუშაოთა ორგანიზაციის თავისებურებანი რეგულირდება სსრ კავშირის მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით.

21. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი და დამატებანი, რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში ამ დადგენილებასთან დაკავშირებით.

22. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985
წლის 7 იანვრის № 13 დადგენილებით

## ცვლილებანი და დამატებანი,

### რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 15 ოქტომბრის № 1801 დადგენილებით დამტკიცებულ სსრ კავშირის შინაგანი წყლის ტრანსპორტის წესდებაში:

ა) 71-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო სტანდარტები" (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული გამონაკლისის გარდა) შეიცვალოს სიტყვებით: „სტანდარტები და ტექნიკური პირობები", ხოლო სიტყვის: „სტანდარტების" შემდეგ ჩაემატოს სიტყვები: „და ტექნიკური პირობები";

ბ) 153-ე მუხლის მეორე აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო სტანდარტებში" შეიცვალოს სიტყვებით: „სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში".

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 14 იანვრის № 32 დადგენილებით დამტკიცებულ საქონლის საექსპორტოდ მიწოდების პირობებში (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 სექტემბრის № 804 დადგენილების რედაქციით):

ა) მე-20 პუნქტის პირველ აბზაცში და 21-ე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში სიტყვა: „სახსტანდარტებს" შეიცვალოს სიტყვით: „სტანდარტებს";

ბ) 28-ე პუნქტის მეთორმეტე აბზაცში სიტყვები: „სახსტანდარტებით" და „სახსტანდარტებში" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „სტანდარტებით" და „სტანდარტებში";

გ) 35-ე პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვა: „სახსტანდარტები" შეიცვალოს სიტყვით: „სტანდარტები".

3. „სასაქონლო ნიშნების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 მაისის № 442 დადგენილების (სსრკ. დადგ. კრებ., 1962 წ., № 7, მუხ. 59) 1-ლ პუნქტში სიტყვა: „სახსტანდარტებით" შეიცვალოს სიტყვით: „სტანდარტებით".

4. „სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მისაწოდებლად ხელშეკრულებათა დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს № 902 დადგენილებაში (სსრკ. დადგ. კრებ. 1963 წ., № 17, მუხ. 176):

ა) მე-15 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვა: „სახსტანდარტებით" შეიცვალოს სიტყვით: „სტანდარტებით";

ბ) მე-15 პუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „ტექნიკური პირობები" შეიცვალოს სიტყვებით: „სტანდარტები, ტექნიკური პირობები", ხოლო სიტყვა: „სახსტანდარტები" შეიცვალოს სიტყვით: „სტანდარტები".

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 270 დადგენილებით დამტკიცებულ სსრ კავშირის რკინიგზების წესდებაში (სსრკ დადგ. კრებ., 1964 წ., № 5, მუხ. 36):

ა) 42-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო სტანდარტები“ შეიცვალოს სიტყვებით: „სტანდარტები და ტექნიკური პირობები“, ხოლო სიტყვის: „სტანდარტები“ შემდეგ ჩაემატოს სიტყვები: „და ტექნიკური პირობები“;

ბ) 101-ე მუხლის მეორე აბზაცში სიტყვები: „სახელმწიფო სტანდარტებში“ შეიცვალოს სიტყვებით: „სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში“.

6. „სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 მაისის № 469 დადგენილების მე-5 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვებისა „მათ მიერ დასამტკიცებელი“ შემდეგ ჩაემატოს სიტყვები: „სტანდარტები და“.

7. „სსრ კავშირის მინისტრების უფლებათა დამატებითი გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 641 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ. 1967 წ., № 17 მუხ. 117) მე-15 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვა: „სახსტანდარტები“ შეიცვალოს სიტყვით: „სტანდარტები“.

8. „ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების გამოყენების თაობაზე კონვენციიდან გამომდინარე საბჭოთა მხარის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 მარტის № 238 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში უშუალოდ სახელმწიფო სტანდარტების სახით შეუცვლელად და გადაუფორმებლად. საჭირო შემთხვევებში დასაშვებია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების შემოღება სახელმწიფო, დარგობრივ და რესპუბლიკურ სტანდარტებში იმ პირობით, რომ აღნიშნული სტანდარტების მაჩვენებლები სრულად შეესაბამებოდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების მაჩვენებლებს. ამასთან სახელმწიფო, დარგობრივ და რესპუბლიკურ სტანდარტებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტების მაჩვენებლებთან შედარებით ნაკეთობათა ხარისხის უფრო მაღალი მაჩვენებლები (ნაკეთობათა ურთიერთშენაცვლებადობისა და ტექნიკური შეთავსებადობის მოთხოვნების შენარჩუნებით);“.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 აპრილის № 274 დადგენილებით (სსრკ. დადგ. კრებ., 1980 წ., № 10, მუხ. 71) დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულების № 2 დანართში სიტყვები: „სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების სრულიად საკავშირო საინფორმაციო ფონდი“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების ცენტრალური სახელმწიფო ფონდი“.

№ 3

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985
წლის 7 იანვრის № 13 დადგენილებით

## ნუსხა

### სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 9 ივლისის № 13081 განკარგულება.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 11 მარტის № 5434 განკარგულება.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 31 დეკემბრის № 5359 დადგენილება „სტანდარტიზაციის სამუშაოთა 1953 წლის გეგმის შესახებ".

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 13 აგვისტოს № 1720 დადგენილება „სახელმწიფო სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების წესის გაუმჯობესების შესახებ".

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 8 ივნისის № 4646 განკარგულება.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 ოქტომბრის № 1185 დადგენილება „სახელმწიფო სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის დარგში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

7. მე-18 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 21 აგვისტოს № 903 დადგენილებისა „სამოქალაქო მშენებლობის, ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების დარგში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ" (სსრკ. დადგ. კრებ., 1963 წ., № 16, მუხ. 170).

8. მე-2, მე-4, მე-5 პუნქტები, მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მეორე და მესამე აბზაცები და მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 11 იანვრის № 16 დადგენილებისა „ქვეყანაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" (სსრკ. დადგ. კრებ., 1965 წ., № 2, მუხ. 11).

9. მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 792 დადგენილებისა „ინდუსტრიული დაბრკოლებებისაგან რადიომიღების დაცვის შესახებ" (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ., № 21, მუხ. 151).

## 20 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 თებერვლის № 180 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 18 აგვისტოს № 569 დადგენილების მე-12 პუნქტის მეექვსე აბზაცის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლის, დამატებისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 თებერვლის № 180 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-12 პუნქტის მეექვსე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 18 აგვისტოს № 569 დადგენილებისა „1983-1990 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკური დონისადა ხარისხის შემდგომი ამაღლების, მათი გამოყენების გაუმჯობესებისა და წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“,

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 22 თებერვლის № 180 დადგენილებით:

— ძალადაკარგულად ჩაითვალა:

მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი, მეორე და მეოთხე აბზაცები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 სექტემბრის № 760 დადგენილებისა „სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 თებერვლის № 71 დადგენილებით;

მე-6 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 მარტის № 210 დადგენილებისა „ახალი, უფრო სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო ტექნიკის კონსტრუირების გაუმჯობესების, მისი შექმნისა და წარმოების ათვისების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 თებერვლის № 199 დადგენილებით;

მე-6 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 სექტემბრის № 672 დადგენილებისა „მსუბუქი და კვების მრეწველობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის თანამედროვე ტექნიკის წარმოების გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ოქტომბრის № 509 დადგენილებით;

მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 15 მარტის № 211 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების პრემირების წესის სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 3 ივნისის № 408 დადგენილებით;

— შეტანილია ცვლილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილებაში „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“, მათ შორის:

52-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ა) დაწესდეს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების იმ ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციის საბითუმო ფასის წამახალისებელი დანამატი, რომელიც თავისი პარამეტრებით არ ჩამოუვარდება საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთულ ნიმუშებს, ამ პროდუქციის გამოშვებისა და გამოყენების წლიური ეკონომიკური ეფექტის კვალობაზე 30 პროცენტამდე ოდენობით.

საბითუმო ფასის დანამატი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის წესდება ერთ წლამდე ვადით, ხოლო განსაკუთრებით რთული პროდუქციისათვის — ორ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში ნაკეთობას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა, მაშინ აღნიშნული დანამატის მოქმედება გრძელდება მისი ოდენობის შეუცვლელად;

დანამატის მოქმედების საერთო ვადა დაწესდეს ოთხ წლამდე, ხოლო განსაკუთრებით რთული პროდუქციისათვის — ხუთ წლამდე;

გამოყენებულ იქნეს საბითუმო ფასის დაკლება წარმოებიდან მოსახსნელი პროდუქციისათვის 30 პროცენტამდე ოდენობით. მომხმარებელთათვის ასეთი პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება საბითუმო ფასებში, დაკლების გარეშე, ხოლო ამ ფასდაკლების თანხა შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში. წარმოებიდან მოხსნილი პროდუქციისათვის გამოშვებულ სამარაგო ნაწილებსა და კომპლექტებზე საბითუმო ფასების დაკლება არ გამოიყენება“;

ძალადაკარგულად ჩაითვალა 51-ე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1986 წ. აპრილი, № 297.

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1984 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IX-85 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

შეკვეთა 850 უე 14633 ტირაჟი 1820

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

«У22 № 0132—4241».

66/6